

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დანაშაულის გამოვლენის მექანიზმების გაუმჯობესებისა და სრულყოფის ღონისძიებების გატარების აუცილებლობით. ამასთან, შესყიდვების სფეროში ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა დადგინდება როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მიმართ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტი მიზნად ისახავს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღებას იმ ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ, რომელთაც მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების დაწესებით, აგრეთვე კონკურენციის შეზღუდვით ბაზრის გაყოფით, ბაზარზე გავლენის შენარჩუნებით, ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტის ბაზრიდან გაძევებით ანდა ერთიანი საბაზრო ფასის დადგენით ან შენარჩუნებით ზიანი მიაყენეს სახელმწიფო ინტერესებს.

აღნიშნული ცვლილების მიზანია მაქსიმალურად გამოირიცხოს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონაწილეებს შორის მართლსაწინააღმდეგო წინასწარი მოლაპარაკების გზით სახელმწიფო შესყიდვის შედეგებზე ზეგავლენის მოხდენა. კანონპროექტით ასევე დგინდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იურიდიული პირისათვის, რომელიც

განახორციელებს 195-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას და დგინდება შესაბამისი სანქცია.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღებას სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას იმ ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ, რომელთაც მონოპოლიურად მაღალი ან დაბალი ფასების დაწესებით, აგრეთვე კონკურენციის შეზღუდვით ბაზრის გაყოფით, ბაზარზე გავლენის შენარჩუნებით, ეკონომიკური საქმიანობის სხვა სუბიექტის ბაზრიდან გაძევებით ანდა ერთიანი საბაზრო ფასის დადგენით ან შენარჩუნებით ზიანი მიაყენეს სახელმწიფო ინტერესებს.

კანონპროექტის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის 2010 წლის 1 დეკემბრიდან ამოქმედება უკავშირდება სახელმწიფო შესყიდვის ცალკეული პროცედურების განმსაზღვრელი ნორმების ამოქმედების განსხვავებულ ვადას. კანონპროექტით ასევე ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იურიდიული პირისათვის, რომლის ქმედებაშიც იქნება სსკ-ის 195-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რაიმე დამატებითი ხარჯების წარმოშობას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: ლაშა თორდია, კახაბერ ანჯაფარიძე, ზვიად კუკავა